

ორმაგი დიაგნოზების მენეჯმენტი საქართველოში: ბარიერები და ხელის შემწყობი ფაქტორები

ლიკა ჩხენკელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ჯანდაცვის პოლიტიკისა და
მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, ასოცირებული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ლიკა ჩხენკელი, 18.05.2025

აბსტრაქტი

ორმაგი დიაგნოზი, ფსიქიკური აშლილობისა და ნივთიერებაზე დამოკიდებულების თანაარსებობა, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ გამოწვევას საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში. აღნიშნული დარღვევებიდან გამომდინარე ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკოლოგიურ ცენტრში მომუშავე სამედიცინო პერსონალი იძულებულია ერთდროულად უმკურნალონ ორ განსხვავებულ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო სფეროში მკურნალობის მეთოდები დღითიდღე ვითარდება, იდეალური მიდგომა ჯერ კიდევ არ არსებობს ორმაგი დიაგნოზის მქონე პაციენტების მართვაში.

ეს კვლევა პოლიტიკის შემქმნელებს, გადაწყვეტილების მიმღებებს, სამედიცინო პერსონალს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებს სთავაზობს შესაძლებლობას გაეცნონ დღევანდელ რეალობას, შეაფასონ საქართველოში ორმაგი დიაგნოზის მქონე პაციენტების მენეჯმენტის პროცესში არსებული ძირითადი ბარიერები და ხელშემწყობი ფაქტორები. შესაძლებლობა ეძლევათ გაანალიზონ კლინიკისტების ხედვა სისტემური გაუმჯობესების გზებზე, რომელთა შორისაა ინტეგრირებული სერვისების შექმნა, განათლების პროგრამის გადახედვა, პროფესიული გადამზადება, სამართლებრივი რეფორმის ცვლილება და სტიგმის შემცირების ღონისძიებები.

მიღებული შედეგები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ორმაგი დიაგნოზის მქონე პაციენტთა საჭიროებების უკეთ გაგებაში და ჯანდაცვის პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესში, რომელიც მიმართული იქნება ინკლუზიური, კოორდინირებული და პაციენტზე მორგებული სერვისების შექმნისკენ, ორმაგი დიაგნოზის მქონე პაციენტების მდგომარეობის და მოვლის გაუმჯობესებისკენ.

საკვანძო სიტყვები: ორმაგი დიაგნოზი, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ნარკოლოგია, სისტემური ბარიერები, ინტეგრირებული სერვისები.

Abstract

Dual diagnosis, defined as the concurrent manifestation of mental disorders and substance use disorders, represents a profoundly complex challenge within Georgia's healthcare system. Healthcare professionals operating within mental health and addiction treatment facilities are frequently tasked with managing both conditions simultaneously. Despite ongoing advancements in treatment methodologies, an optimal approach to managing patients with dual diagnoses remains to be definitively established.

This study aims to provide policymakers, decision-makers, healthcare professionals, and public health specialists with an opportunity to examine the current landscape and evaluate key barriers and facilitating factors in the management of dual diagnosis in Georgia. The research explores clinicians' perspectives on pathways for systemic improvement, including the development of integrated services, revision of educational curricula, professional retraining, legal reforms, and stigma reduction strategies.

The findings will contribute substantively to a more profound comprehension of the needs of individuals with dual diagnosis, and to the prospective implementation of healthcare policies. Which policies will be specifically designed to foster the creation of inclusive, coordinated, and patient-centered services, thereby improving the overall condition and quality of care for patients with dual diagnosis.

Keywords: dual diagnosis, mental health, narcology, systemic barriers, integrated services.